სამშაბათი, 30 მარტი 1910 წ.

# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. მეოთხე გვერდზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Циуладзе.

ნიკო სვიმონის-ძე გოცირიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობარ-ამხანაგებს თავის მამის

### სვიმონ გიორგის-ძის გოცირიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, სამშაბათს, დილის 10 საათზე კუკიის ნიკოლოზის ეკლესიაში. მინკვიცევის ქუჩა № 21 (თუმანისეული ქუჩა). 1—1

ხუთშაბათს, 1 აპრილს, სოფ. ვაკიჯვრის წმ. კვირიაკეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

### მაკრინე ასალოს ასულის მდინარაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ უზომოთ დამწუხრებულნი: ალექსი ი. მდინარაძე, ეკატერინა ჭყონიას ასული ებრალიძისა, სამსონ, იასონ და ილაკრი ებრალიძენი. 1—1

კავკასიის სამთო სამმართველო აცხადებს, რომ ამ 1910 წლის 26 აპრილს მოწვეულია ქ. ქუთაისში შორაპნის მაზრის

### შავი ქვის მრეწველთა მორიგი XIII სიეზდი

კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის, სტატსკი სოვეტნიკის ჩენგერის თავმჯდომარეობით. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) სიეზდის მდივნის არჩევა.
2) ანგარიშების განხილვა: ა) სიეზდის საბჭოს 1908 და 1909 წლების ბ) სარევიზიო კომისიის გ) ჭიათურის რკინის გზის შტოზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის.
3) მადნების წარმოების, რკინის გზის სადგურებზე შეგროვებულ და გასატან მადნების რაოდენობის, გადასატან საშუალებების, და კავკასიის რკინის გზებზე, როგორც ჭიათურისაზე ისე მთავარ ლიანდაგზე საწყობ ადგილების შესახებ სტატისტიკურ ცნობების განხილვა.
4) ჭიათურის სამრეწველო რაიონში რკინის გზის საწყობებში შავი მადნის მისატანათ მექანიკურ ჩამოსაზიდის გაკეთება სიეზდის ხარჯზე.
5) მაღაროებთან სასმელ წყლის გაყვანა.
6) კავკასიის მომავალ უმაღლეს სასწავლებლისთვის დახმარების დანიშვნა.
7) ინჟინერ-ქიმიკოს რომანოვის ქუთაისის ქიმიურ ლაბორატორიისთვის დახმარების დანიშვნა.
8) ჭიათურაში ქალთა პროგიმნაზიის გახსნა.
9) ქვა-ნახშირის რკინის გზებზე გადაზიდვის გაუმჯობესება. ა) ჭიათურის ვიწრო ლიანდაგის მაგიერ ფართე ლიანდაგის გაყვანა. ბ) საწყობ ადგილებზე საიჯარო ფასის რაოდენობის განსაზღვრა რკინი გზის მიწებზე. გ) ჭიათურასა და ჭიქოურაში მისასვლელი გზების გაკეთება. დ) ჭიათურის სადგურზე გადასასვლელი ხიდის გაკეთება. ე) შავი-ქვის ბაქნებზე ფარდულების გაკეთება და რკინის გზის ვაგონების გამოყენება, რომ მადანი არ დასველდეს. ვ) სხვა კითხვები, რომლებიც შეკავშირებული არიან მარგანეცის გადაზიდვასთან.
10) შავი-ქვის მრეწველთა სიეზდის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება.
11) თანამდებობის პირთა არჩევა. 3—3

### თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**დამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
**ბურჭო ბ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. ბ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ხ.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—100)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

### ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. მაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—100)

### მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, ყოველ ნაირ თეთრეულებს.

მსურველთ შეუძლიათ მიმიწვიონ ოჯახებში სამუშაოთაც.

0—2 **ადრესი:** მატინოვის ქუჩა № 9.

### ბათუმის რკინის გზის სადგურზე წიგნის მაღაზიაში

### შკაფში

**გიორგი მახარაძესთან**

იყიდება ყოველგვარი ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, როგორც ადგილობრივი, ისე სატახტო ქალაქის გამოცემები.

აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ახალ სხივზე", იგივე მიიღებს ყოველგვარ განცხადებებს „ახალ სხივში" დასაბეჭდათ.

გაზეთის გამოწერა-შეწყვეტის დროს საჭიროა ერთი კვირით ადრე განცხადება. ვინც თვიურათ გაზეთს გამოიწერს, მათ ნაჩვენებ ადრესზე მიტანაში არაფერი გადახდებათ.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ორშაბათს, 5 აპრილს,**

ქ. გ. რომანიშვილის, თ. ს. გოგოლაშვილის, ვ. დ. გუნიას, ს. პ. სვიმონიძის, კ. შედიძის, დ. მგალობლიშვილის და სხვათა მონაწილეობით გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება

I

**ორი დარაჯი**

დრამა 3 მოქ. თარგ. ფ. ქორიძისა.

II

**კონცერტი**

ქართული ხორო გ. ჩარკვიანის ლოტბარობით იმღერებს ქართულ სიმღერებს.

**დასაწყისი სწორეთ 8 ნახ. საათზე.**

ადგილების ფასი 10 კ.—1 მ. 20 კ.

## რა გვაქვს საერთო?

(გაგრძელება)

**მაგალითი მეორე.** საწევრო ფულის შემცირება. მკითხველს ალბათ ახსოვს თუ რა აურზაური გამოიწვია ამ კითხვამ წ. კ. გ. საზოგადოების კრებაზე, როგორ გაშმაგებით იბრძოდენ გამგეობა და მისი დამცველნი საწევრო ფულის დაკლების წინააღმდეგ. კენჭის ყრის ყოველგვარი წესი და რიგიც კი გადალახეს, რომ თავისი გაეტანათ და კიდევაც მიზანს მიაღწიეს. გამარჯვება მათ ხვდა წილათ მარა ეს ისეთი გამარჯვება იყო, რომელიც დამარცხებაზე უარესია. თავის ზნეობრივი დამარცხების დასაფარავათ და დაცემული პრესტიჟის ალსადგენათ დავა „დროება"-ში გადმოიტანეს, მაგრამ მალე დარწმუნდენ თავის პოზიციის სისუსტეში და კიდევაც გაჩუმდენ. ან კი რა ექნათ! საქმე წაგებული იყო და როცა საქმე წაგებულია, მისი დაცვა არ ძალუძს არავითარ მჭევრმეტყველობას, მარა ბ. ჯორჯაძე გულს არ იტეხს. წაგებული საქმის დაცვას კისრულობს და თუ მას დაუჯერებთ, მოიგო კიდეც.

«ჩვენ აქ არ შევდივართ—სწერს ბ. ჯორჯაძე—საზოგადოების გამგეობის დაფასებაში. (რატომ ბეტავი? თუ თქვენ არ შედიხართ, რატომ „დროებამ" არ დააფასა? ალბათ იმიტომ, რომ „დანიის სამეფოში ვერ იყო ყველაფერი რიგზე", და ამის დაფასება კი იმავე დროს იქნებოდა თვით „დროების" და მისი ჯგუფის დაფასება. ეს კი მეტათ სარისკო საქმე იყო არა?) გავითვალისწინოთ მხოლოთ ერთი საკითხი—საწევრო გადასახადის დაკლების შესახებ. ამის წინააღმდეგი პრინციპიალურათ არავინ იყო, არც ჩვენი ახლო მეგობრები, გამგეობის წევრები, არც დანარჩენი ნაწილი გამგეობისა. დემოკრატიზაცია საზოგადოებისა ყველას მიაჩნდა სასურველ საქმედ. მაგრამ, დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გამო, ეს დემოკრატიზაცია შეუძლებელია, ამიტომ საწევრო ფულის დაკლებაც მოუხერხებელია.»

მაშ ასე. საწევრო ფულის დაკლების **პრინციპიალური** წინააღმდეგი თურმე არავინ ყოფილა. საზოგადოების დემოკრატიზაცია თურმე ყველას **სასურველათ** მიაჩნია, მარა ეს დღეს მოუხერხებელია. დემოკრატიზაციის მომხრე ახლა კი არა, თურმე ჯერ კიდევ მაშინ იყვენ, როცა „ცნ. ფურ." გამოდიოდა, მარა გარემოებამ ხელი ვერ შეუწყო და საქმე დღემდე განუხორციელებელი" დარჩენილა. ეს კიდევაც აუხსნია ჩვენთვის „დროება"-ს, მარა ჩვენ თურმე, „ჯვიუკადრისებია", და არც დაგვიჯერებია.

ცოდვა გამხელილი სჯობიაო—იტყვიან და ჩვენც არ ვფარავთ, რომ არც დაგვიჯერებია და ვერც დავიჯერებთ. ვერ დავიჯერებთ იმიტომ, რომ სურვილი ერთია და ამ სურვილის ცხოვრებაში გატარება მეორე. პრინციპიალური თანხმობა როდი კმარა. საჭიროა ამ პრინციპის თანახმათ მოქმედება და მისი ცხოვრებაში გატარებისთვის ბრძოლა. **ყოველი პარტია, ყოველი ჯგუფი ხასიათდება მისი მოქმედებით და არა მისი სიტყვებით.** თქვენს მოქმედებაში კი ჩვენ ვერსად ვერ ვნახეთ, რომ თქვენ ცდილიყავით იმის ასრულებას, რის წინააღმდეგ თურმე პრინციპიალურათ არაფერი გაქვთ. აბა, რა სადაოა ისეთი საკითხი, როგორიც არის საწევრო ფულის შემცირება. სხვა რომ არა იყოს რა, ამას მოითხოვს თვით საზოგადოების მატერიალური ინტერესები. ცოტათ თუ ბევრათ პროგრესიულ საზოგადოებაში ამაზე დავა სასაცილოცაა, მარა იმ დემოკრატიული მასსის შიშმა, რომელიც საკუთარი პროგრამით და ტაქტიკით გამოდის საზოგადო ასპარეზზე, თავისი გაიტანა და ჩვენი „ეროვნული მოღვაწეობიც" შეუდგენ კარების მაგრათ გამოკეტვას; და თავის ანტი-დემოკრატობის დასაფარავათ გარეშე ძალაზე მოუთითეს—საზ. დაგვიხურავენო. ეს კი ის ჩვენი ნაცნობი ძლიერი არტილერიაა, რომელიც გამოაქვთ ხოლმე ჩვენს მოწინააღმდეგენს ყოველ ასეთ შემთხვევებში.

აქვს თუ არა რაიმე ღირებულება ამ საბუთს?

როცა ბ-ნ **ჯორჯაძე** და „დროება" ასე აყენებენ კითხვას: დემოკრატიზაცია თუ საზოგადოების დახურვა, ამით ისინი სადაო საგანს აფუჩეჩებენ. ერთი გვიჩვენეთ, რომელი ცოტათ თუ ბევრათ პროგრესიული დაწესებულებაა დღეს რუსეთში „სიკვდილის ცელისაგან" უზრუნველ ყოფილი? სიცოცხლეს უსპობენ არა მარტო იმიტომ, რომ ესა თუ ის დაწესებულება დემოკრატიულია თავის შემადგენლობით; სდევნიან და კეტავენ ყოველგვარ კავშირს, რომელიც ოდნავ მაინც უწყობს ხელს საზოგადოებრივი ინიციატივის და თვითმოქმედების განვითარებას და თუ ბ-ნ. **ჯორჯაძეს** გავყვებით, იქამდის უნდა მივიდეთ, რომ ხელი ავიღოთ ყოველგვარ პროგრესიულ მოქმედებაზე და ვიმუშაოთ ისე, როგორც ეს ბიუროკრატიას სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილის ცელი მუდამ თვალ წინ გვექნება. თუ კითხვას ამ ნიადაგზე გადავიტანთ ჩვენი სამოქმედო დირექტივები მაშინ პოლიციის ნაწილებიდან უნდა მივიღოთ. **მხოლოთ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველ ყოფილი საზოგადოების არსებობა.** ასეთია ლოლიკა იმ პოზიციისა, რომელზედაც შედგენ ამ კითხვაში დემოკრატიზაციის მოწინააღმდეგენი, მარა აქამდის ვერც ისინი მივლენ, მაშასადამე მათ მიერ წამოყენებული საბუთიც ვერ გამოდგება.

სჯერა ბ.ნ. ჯორჯაძეს, რომ საზოგადოება დღევანდელი სახით, იმ წესდებით, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდენ მისი თანამოაზრენი, უზრუნველ ყოფილია საფრთხისაგან? რას იტყოდით, რომ იმ **300** მუშამ, რომლებიც დაკლებას მოითხოვდენ ერთ მშვენიერ დღეს შეაგროვონ სამ-სამი მანეთი და წევრათ შემოვიდენ? თუ მათი სამი მანეთის საშუალებით შემოსვლა არაა საფრთხე საზოგადოებისათვის, მაშინ არც მანეთიანი საწევრო ფულია საშიში? თუ მათი შემოსვლა საშიშია, მაშინ იქონიეთ გაბედულება და გულახდილათ თქვით, რომ საშიშოა არა მანეთიანები, არამედ ის **ელემენტები,** რომელსაც წევრობა სურთ!

ბ. ჯორჯაძე თვითონაც კარგათ გრძნობს თავის პოზიციის სისუსტეს და ამიტომაც არის, რომ ის სტოლიპინის ცირკულიარს ეფარება, მარა ეს ცირკულიარიც ხომ არაფერს ამბობს მათდა სასარგებლოთ. ცირკულიარი მოითხოვს ნაციონალურ-კულტურულ დაწესებულებების დახურვას. ასე რომ, ცირკულიარი კეტავს ამა თუ იმ დაწესებულებას **მოქმედებისათვის, მიმართულებისათვის** და არა **შემადგენლობისათვის.** რაკი ასეა საქმე, საწევრო ფული გინდ ერთი მანეთი ყოფილა, გინდ სამი და ხუთი—ეს სულ ერთია. გინდ ათი წევრი იყოს, გინდ **1000,** სულ ერთია; საზოგადოება იხურება თავის მიმართულებისათვის, მოღვაწეობისათვის და რაკი ამ მოღვაწეობას მთავრობა „მავნეთ" დაინახავს, დახურავს მაშინაც კი, თუნდაც მისი წევრი ხუთ—ათას არ აღემატებოდეს და წევრი მანეთს კი არა, 10—20 მანეთს იხდიდეს. თუ ცირკულიარზეა საქმე, მისი შინაარსიც ასეთია, და ეს კი, როგორც ვხედავთ, ვერაფერი საბუთია სადაო კითხვაში.

მარა კარგიც რომ გამოდგეს საბუთათ ეს ცირკულიარი,—ამაშია არა მარტო ჩვენი ტრაღიზმი, არამედ—მთელი რუსეთისა. ამიტომ ჭეშმარიტი დემოკრატი ცდილობს ამ მთავარი დაბრკოლების მოსპობას და თავისუფალი წყობილების დამყარებას. ის თავის მოქმედებას ბიუროკრატიის სურვილებს და შეხედულებებს კი არ უთანხმებს, მას კი არ ეგუება, არამედ—ცდილობს ხალხის გათვითცნობიერებას და მის ორგანიზაციულ შეერთებას. რამდენათაც იგი ემსახურება ამ მიზანს, იმდენათ იგი მუდამ კონფლიქტშია არსებულ რეჟიმთან, იმდენათ ის კავშირები თუ ორგანიზაციები, რომელშიაც ის მოქმედობს, სავსეა „ფათერაკებით". ეს არც შეიძლება სხვა ნაირათ იყოს. ჭეშმარიტი დემოკრატი ყოველგან და ყოველთვის თავის მოქმედებას უმორჩილებს ერთ უმთავრეს მიზანს: **ხალხის გათვითცნობიერება და შეკავშირება.** და თუ გარეშე ძალა სიცოცხლეს მოუსპობს ასეთ დაწესებულებებს, გათვითცნობიერებული ხალხი ყოველთვის მონახავს გზას და საშვალებას თავის ძალების მოსახმარათ! ეს კი შესაძლებელია ხალხის საზოგადო საქმეზე მიშვებით და არა აქედან გადენით, როგორც ეს ჩაიდინეს ჩვენმა მოწინააღმდეგენმა. რა ბედიც არ უნდა ეწიოს იმ დაწესებულებებს, რომელშიაც ხალხის ფართო მასსა მონაწილეობას იღებს, საბოლოოთ ჩვენ მაინც მოგებული ვრჩებით, რადგან, როცა ხალხი თვითონ მოქმედებს, თვითონ განაგებს თავის საკუთარ საქმეს, იგი იწვრთნება, თვითცნობიერდება, ემატება გამოცდილება, უორკეცდება ენერგია და წყურვილი საზოგადო საქმისადმი და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ უდიდეს წინ წამწევ ფაქტორათ ხდება. აქედან და ამით უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა ადვილდება და საზოგადოების წინ-მსვლელობა უზრუნველ ყოფილია. თუ ამას მოკვეთენ თავს, მის ადგილს, ზღაპრულ-

გიდრას არ იყოს, ერთ ადგილას ორი თავი გამოიბმება. ამიტომ დემოკრატია არ უფრთხის იმ ხელოვნურ დაბრკოლებას, რომელსაც მას უმზადებენ ქვეყნის შავი ძალები. ის სურვილების და პრინციპების გამოცხადებით კი არ კმაყოფილდება, არამედ—მტკიცეთ და შეურყევლათ ახორციელებს თავის პრინციპებს ყოველდღიურ პრაქტიკულ მოქმედების დროს.

ასეთია ჭეშმარიტი დემოკრატია და ასეთია მისი მოქმედება.

აი ჩვენი შეხედულება. და თუ ბ. ჯორჯაძე მოაწერს ხელს ამაზე, და „იქონიებს გამბედაობას სთქვას „ჰო" იქ, სადაც საქიროა", უნდა აღიაროს, რომ ამ დავაშიაც ჩვენ მართალი ვართ. და თუ ვერ მოაწერს ხელს, ცხადია, ჩვენ შორის განსხვავება ზერელე კი არ ყოფილა, არამედ—პრინციპიალური.

ამ პრინციპიალურ განსხვავებას კი სარჩულათ უდევს კლასიურ ინტერესთა სხვა და სხვაობა და რადგან ბ. ჯორჯაძის შეხედულება და მისი «ახლო მეგობრების» მოქმედება ნაკარნახევია მათი კლასიური ინტერესებით, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი მუდამ ხელ მოუწერელი დარჩება ბ. ჯორჯაძის მიერ.

(შემდეგი იქნება).

# სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

27 მარტი.

27 მარტის სხდომაზე, გუჩკოვის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო დუმაში განაგრძეს სასამართლოების რეფორმების შესახებ კანონ-პროექტის მუხლების განხილვა. კამათი გამოიწვია მეჩვიდმეტე მუხლმა. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ვერიოვკინი მხარს უჭერს იუსტიციის მინისტრის შესწორებას, რომ თავმჯდომარეს მთავრობა ნიშნავდეს ყველგან. კენჭის ყრით—157 ხმით წინააღმდეგ 127 ხმისა მიღებულ იქნა ტრუდოვიკების შესწორება თავმჯდომარეს მომრიგებელთა სიეზდი ირჩევდეს თავიანთ შორის.

შემდეგ განაგრძობენ მომრიგებელ მოსამართლეთა ცენზის შესახებ კამათს. მაკლაკოვი წინააღმდეგია მომრიგებელ მოსამართლეთათვის ქონებრივ ცენზის შემოღების. ზამისლოვსკი აცხადებს, რომ ის თავის ამხანაგებით ქონებრივ ცენზის დაწესების წინააღმდეგ მისცემს ხმას არა იმიტომ, რომ ეს კანონ-პროექტი კანონათ არ იქცეს არამედ—იმიტომ, რომ ეს ცენზი იქნება კონსერვატიულ დროში, რადგან როცა მომრიგებელ მოსამართლეების ადგილები ქალაქის მცხოვრებთა მესამე ელემენტს დაეთმობა, გლეხები სრულიად ჩამოშორებული იქნებიან. ცოტა კამათის შემდეგ სხდომა იხურება. შემდეგი 29 მარტს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28—29 მარტი.

## სპარსეთი

**თეირანი.** სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ყაზვინში მივიდენ და ამ დღეებში მოელიან თეირანში. ამზადებენ ვებერთელა შენობას. მთავრობა დიდ ფაცა-ფუცშია.

— ისფაგანის გუბერნატორმა დაამარცხა გარიბხანი კუმიშახში და წესიერება აღადგინა. გენერალმა დოვბორ-მუნიცკიმ ინახულა სეპეხდარი, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ყაზვინის რაზმის უფროსი.

**თავრიზი.** მთავრობის მიერ მარილზე გადასახადის აწევამ ადერბეიჯანში უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის შაქრით მოვაჭრეთა სინდიკატმა შაქრის ფასს აუწია თავრიზში 5 მანეთამდე. ამიტომ რუსეთის შაქარს ადერბეიჯანში (...გამოტოვებულია) შაქრის გამოწერას მარსელიდან აპირებენ.

## ოსმალეთი

**სალონიკი.** პრიშტინის ახლოს ოსმალელთა და ალბანელების შეტაკება 23 მარტს დაიწყო. სოფელ პიროვოსთან შეტაკების შემდეგ სამი რაზმი ისევ თავს დაესხა ალბანელებს. როგორც ამბობენ, ორმა რაზმმა ნახევარზე მეტი დაჰკარგა, შეტაკება მოხდა სოფელ პლემეინტინასა და ბაბინოსის ახლოს. ჯარი იძულებული შეიქნა უკან დაეხია, სანამ დამხმარე რაზმი მივიდოდა. ალბანელები მოითხოვენ დაითხოვონ ჯარებიდან ქრისტიანები, გააუქმონ ახალი გადასახადები, სასამართლოს გადაწყვეტილება ალბანელების შესახებ და ტუსაღების განთავისუფლებას. გაიმართა მოლაპარაკება. პრიშტინში ახალი ბათალიონები მიდიან. მდინარე ლაბის მთელი მიდამოები აჯანყებულია. ალბანელების ხელში ყველა სტრატეგიული ადგილებია. შეიარაღებულია 10,000 კაცი, იპეკში და პრიზრენში მრავალი კაცი დაატუსაღეს.

**სალონიკი.** სოფელ პარვაში მოხდა ათი-ათასი ალბანელის მიტინგი. დაადგინეს არ გადაიხადონ გადასახადები და არ დაემორჩილონ კონსტიტუციონურ მთავრობას. მოსულ რაზმს ალბანელებმა უკან დაახევინეს, რაზმმა დაკარგა რვა კაცი. მოძრაობა ფართოთ ედება მთელ ჩრდილოეთ ალბანეთს. პრიშტანში მივიდა ათი ბათალიონი ქვეითა ჯარი არტილერიით. ამდენსავე მოელიან.

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ბოლგარეთის საზღვარზე შეტაკება მოხდა. მოკლეს ერთი ოსმალელი სალდათი. ალბანეთში ექსპედიციონურ რაზმთან ერთათ ათი ბატარეია გაგზავნეს.

**სტამბოლი.** ალბანელმა დეპუტატებმა პალატაში შეკითხვა შეიტანეს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი კოსოვსკის ვილაეტში ექსპედიციონური რაზმის გაგზავნის შესახებ. მოტივებით მოყვანილია, რომ ალბანელები კონსტიტუციის ერთგულნი არიან და მათ ადგილობრივი მთავრობა აღელვებს. შეკითხვის ავტორები მოითხოვენ მიიღონ ზომები სისხლის ღვრის შესაწყვეტათ. პალატამ მიიღო შეკითხვა და მთავრობას პასუხისთვის 20 მარტი დაუნიშნა ვადათ.

**სალონიკი.** ალბანეთში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ შემდეგს იტყობინებიან: პრეპელანცის უმთავრეს გზასთან პრიშტინის მცხოვრებლებმა, რიცხვით 20,000 კაცმა კრება მოახდინა მთავრობის უკანასკნელი განკარგულების შესახებ. შეფკი ფაშამ ეს აჯანყებათ ჩასთვალა და 250 კაცით და ბატარეით წავიდა. ალბანელებმა სროლა აუტეხეს. ჯარმა უკან დაიხია, დასტოვა ერთი ზარბაზანი სამი მაუზერი და მთელი სურსათი. ჯარს მოუკლეს სამი სალდათი და რამდენიმე დაუჭრეს. შეტაკების შემდეგ ალბანელების წინამძღოლმა ხადჟი-სადრიმ დეპეშით ერთგულება გამოუცხადა სულთანს და აცნობა, რომ შეტაკება შეფკი-ფაშამ გამოიწვიაო.

**სტამბოლი.** ბულგარეთის საზღვარზე ისევ მოხდა შეტაკება—კარაბულაკში და კლისსეკიულში. პრიშტანში ჯარმა ალყა შემოარტყა აჯანყებულებს.

## საზღვარ გარეთ

**ვენეცია.** დილის სხდომაზე პროკურორსა და დამცველებს შორის დიდი კამათი გამოიწვია ბორჟევსკის სიკვდილის შესახებ საბუთის ქაღალდებმა. ამ საბუთების გამომჟღავნების წინააღმდეგია ტარნოვსკაიას დამცველი. კითხულობენ ტარნოვსკაიას მიერ კიევის კონსისტორიაში შეტანილ თხოვნას განქორწინების შესახებ, ტარნოვსკაიას საჩივარს იმავ კონსისტორიაში, კონსისტორიის დადგენილებას, რომლითაც უარი ეყო განქორწინებაზე, სინოდში საჩივარს და სინოდის გადაწყვეტილებას საჩივრის უყურადღებოთ დატოვების შესახებ. ვექილი დიენა ასაბუთებს თავის მოთხოვნას, რომლითაც უარს ყოფს საბუთების გამოქვეყნებას. ბრალმდებელი აცხადებს, რომ თანახმაა გამოქვეყნდეს ზოგიერთი საბუთის ქაღალდები. თავმჯდომარე აცხადებს, რომ გადაწყვეტილებას სამშაბათს გამოაცხადებს.

**ბერლინი.** მოხდა რამდენიმე მიტინგი საარჩევნო კანონის შესახებ. დაესწრო მრავალი ათასი ხალხი. პოლიცია არ გამოჩენილა. წესიერება არ დარღვეულა.

**სენშაბონი.** პოლიციამ დაატუსაღა უცნობი, რომელსაც უნდოდა უბილეთოთ შესულიყო ბანკეტზე, რომელზედაც მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი იყო. უცნობს აღმოაჩნდა რევოლვერი. ბრიანის სიტყვის დროს გარეთ რევოლიუციონერებმა მანიფესტაცია მოახდინეს. ბრიანმა სიტყვა ვეღარ დაათავა. მანიფესტანტნი ჟანდარმებმა გაფანტეს.

**ბერლინი.** ხელფელდის რწმუნებული იტყობინება, რომ რადგან რუსეთის ხაზინამ ვადა გაუშვა 1909 წლის სამი დეკემბრის დადგენილების განსაჩივრების, დადგენილება ძალაში შევიდა და მოითხოვს მენდელსონისაგან ოთხ ნახ. მილიონ მარკას. ამ საქმის გარჩევა სამოქალაქოს განყოფილებაში დანიშნულია 24 აპრილს.

## რუსეთი

**ვილნო.** ხაზინაში დაიჭირეს გლეხი ვოგანოსი, რომელსაც პოლესსკის რკინის გზის ყალბი ტალონით 30 ათასი მანეთი უნდა მიეღო.

**პეტერბურგი.** ადგილობრივ თვითმართველობათა კომისიამ 24 ხმით, წინააღმდეგ 18 ხმის უარყო ვიტებსკის, ვოლინის, კიევის, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებში ერობის შემოღების კანონ-პროექტი.

**ოდესა.** დაიჭირეს ტავრიდის გუბერნიის მემამულე მურატოვი, რომელსაც საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ათი ათასი მანეთის ყალბი ვექსილების განაღდება უნდოდა.

**ჩელიაბინსკი.** სამარა—ზლატოუსტის გზაზე მატარებელში გაძარცვეს რუსეთის ბანკის მეარტელე. წაართვეს სამი ათას სამასი მანეთი, გაძარცვის შემდეგ მეარტელე მატარებლიდან გადმოაგდეს.

**კიევი.** ქალაქის სხვადასხვა ადგილას ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს გექტოგრაფზე დაბეჭდილი პროკლამაციები სოც. რევოლიუციონერთა. წაიღეს გექტოგრაფები, პროკლამაციები და ბროშიურები.

## ადმინისტრაციული გადასახლების შესახებ.

ამ ჟამათ სენატში ერთი მეტად საყურადღებო კითხვაა დაყენებული: აქვს თუ არა უფლება გენერალ-გუბერნატორს სამხედრო წესის ძალით გადაასახლოს ესა თუ ის პირი განაპირა გუბერნიებში.

ეს კითხვა იურიდიულ კითხვას შეადგენს, და ჩვენც აქ მას შევეხებით მხოლოდ ამ მხრივ. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო წესი საზოგადო კანონს არ წარმოადგენს. ის მხოლოდ და მხოლოდ ეგრედ წოდებული სპეციალური კანონია. ჩვენ ისიც ვიცით, რომ სპეციალური კანონის გაფართოებული ახსნა-განმარტება (распространительное толкованіе) არ შეიძლება. მასში ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას თავისი განსაზღვრული აზრი და მნიშვნელობა აქვს და მათი ლოღიკური განმარტება არ შეიძლება. ეს ყველგან და ყოველთვის მიღებული იურიდიული მცნებაა. ეს დებულება იმის გარანტიაა, რომ სპეციალური კანონი, რომელიც საზოგადო კანონს ჩრდილავს და უკან აყენებს, მხოლოდ სპეციალურ საგანს შეეხება.

ახლა გადავიდეთ კითხვაზე.

სამხედრო წესის დებულების მე 19-ტე მუხლის მე 17-ტე პუნკტი ამბობს: ...„გადაასახლოს კერძო პირნი იმპერიის **შიდა გუბერნიებში**... (კურსივი ჩვენია). ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოში არის: შიდა გუბერნიები, მესაზღვრე (пограничныя) გუბერნიები და განაპირა ქვეყნები. მაგალითად, ვორონეჟის გუბერნია შიდა გუბერნიაა, არხანგელის გუბერნია კი, რომლის ზღვით მხარე თეთრ ზღვას აკრავს, მესაზღვრეა, კავკასია—განაპირა ქვეყანაა... ვთქვათ, ვორონეჟის გუბერნიაში სამხედრო წესია გამოცხადებული; იქაურ გენერალ-გუბერნატორს სურს გააძევოს რომელიმე პირი გუბერნიიდან; სამხედრო წესის ძალით მას არ აქვს უფლება ეს პირი კავკასიაში გადმოასახლოს, ვინაიდან კავკასია შიდა გუბერნიას არ შეადგენს. ვსთქვათ, ქუთაისის გუბერნიაშია გამოცხადებული სამხედრო წესი: აქედან გადასახლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შიდა გუბერნიებში და, მაგალითად, არხანგელის გუბერნიაში ან და ვლადივოსტოკში იმის გადასახლება, კანონის ძალით, შეუძლებელია.

ამ „შიდა გუბერნიის" თავისი აზრი და ისტორიული ახსნა აქვს. საქმე იმაშია, რომ სამხედრო წესი ეგრეთ წოდებულ განსაკუთრებულ წესებზე უფრო ადრეა შემოღებული. უკანასკნელი შემოღებულია

## სახ. დუმის მუშათა კომისიის მოქმედებიდან *)

ნამდვილი და ფარული სურვილები მუშათა კომისიის უმრავლესობისა, რაც დრო მიდის, მით უფრო აშკარავდება. თითქმის კომისიის ყოველ სხდომაზე მემარჯვენე ოქტომბრისტების ბლოკი მტრულ განწყობილებას იჩენს იმ ზომებისადმი, რომელნიც მუშათა ინტერესების დაცვისაკენ არიან მიმართული. კაპიტალის წარმომადგენელნი კარგათ ხედავენ, თუ რა შევიწროებას განიცდის ამ ჟამათ მუშათა კლასი. მუშათა კომისიის უმრავლესობა სარგებლობს თავისი რიცხვითი აღმატებით, რომ კანონ-პროექტიდან, რომელიც შეეხება მუშათა დაზღვევას ავათმყოფობის დროს (და რომლის განხილვას კომისია ამ სესიის დაწყებიდანვე შეუდგა), ამოშალონ ყველა ის მუხლები, რომელნიც მათ არ ეპრიანებათ.

მიმდინარე წლის 19 თებერვლის სხდომაზე კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელიც უკარგავს კანონ-პროექტს ყოველგვარ მნიშვნელობას და არა თუ არ აუმჯობესებს, პირიქით, საგრძნობლათაც აუარესებს მუშათა არსებულ მდგომარეობასაც კი. ეს დადგენილება ამბობს: „საექიმო დახმარება ეძლევათ მუშებს საავათმყოფო კასებიდან იმ წესების თანახმათ, რომელნიც ამ დებულებაში არის ნაჩვენები" (კანონ-პროექტის მე-6 მუხ.) მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტში ეს მუხლი ამბობდა: „საექიმო დახმარება ეძლევათ მუშებს მწარმოებელთა ხარჯზე და სხვ."... როგორც ხედავთ, განსხვავება ძალიან დიდია. მთავრობის პროექტი შესაძლებლათ ვერ სცნობდა თავიდან აეშორებინა მრეწველებისათვის ავათმყოფი მუშების საექიმო ხარჯები. კომისიის უმრავლესობამ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ეს ნაბიჯი გადადგა. ამ საკითხის ისტორია ძალიან დამახასიათებელია. კომისიამ სამჯერ სცადა მისი გადაწყვეტა. პირველათ ეს მოხდა ტეზისების განხილვის დროს, რომელნიც შეიცავდენ კანონ-პროექტის უმთავრეს საფუძველს და წარმოდგენილი იყო მუშათა კომისიაში მომხსენებელ ფონ კრუზეს მიერ. კითხვის განხილვას დასჭირდა რამდენიმე სხდომა. კომისიის თავმჯდომარე ბარონი ტიზენგაუზენი სასტიკი წინააღმდეგი იყო საწარმოო დაწესებულებების პატრონების ხარჯზე ავათმყოფ მუშათა ექიმობისა. ასეთი პრინციპის დაკანონებაში ის ხედავდა მექარხნეების განადგურებას და მუშებისათვის დაუმსახურებელ „პრივილეგიების" შემოღებას, მაგრამ ბარონ ტიზენგაუზენს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მემარცხენე ფრაქციების წარმომადგენლებმა და განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა. კენჭის ყრის დროს სიტყვების წინააღმდეგ: „საწარმოო დაწესებულებათა პატრონების ხარჯზე" ხმა მისცეს მხოლოდ ორმა: კომისიის თავმჯდომარემ ბარონ ტიზენგაუზენმა და ქ. პეტერბურგის წარმომადგენელმა პირველი კურიიდან დეპ. ბელიაევმა. კომისიის ყველა დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს კანონ-პროექტის მე-6 მუხლს მთავრობის რედაქციით. ეს მოხდა 1909 წ. 17 ნოემბერს. ყველას ეგონა, რომ ეს საკითხი გადაწყდა, და გადაწყდა ხმის დიდი უმრავლესობით (17—2-ის წინააღმდეგ). მაგრამ ოქტომბრისტები სულ სხვანაირათ ფიქრობენ. გაათავა-რა ფონ-კრუზეს მიერ წარმოდგენილი ტეზისების განხილვა, კომისია შეუდგა თვით კანონ-პროექ. განხილვას და ხელახლავე დაუბრუნდა მე-6 მუხლს. ხელახლა ასტყდა პრინციპიალური კამათი. ამ თავათ ბარონ მეიენდორფმაც იურიდიულ თვალთა ხედვით საექვოთ მიიჩნია „უფასო საექიმო დახმარება მუშებისათვის". ამოშალეს საშინელი სიტყვები „წარმოებათა პატრონების ხარჯზე", და საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იკისროს საექიმო დახმარება, ღიათ დარჩა იმ მოსაზრებით, რომ მას შემდეგ დაუბრუნდებოდენ. ეს მოხდა 1909 წ. 26 ნოემბერს. რადგან უმთავრესი საკითხის შესახებ განსაზღვრული დადგენილება არ იყო გამოტანილი, კანონ-პროექტის დარჩენილი ნაწილის განხილვას ეს გარემოება ძალიან უშლიდა ხელს. ამიტომ კანონ-პროექტის მე-36 მუხლის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა კომისიაში მე-6 მუხლის შესახებ ეს თუ ის დადგენილება გამოეტანათ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მემარცხენე ფრაქციების სხვა წარმომადგენლებმაც და ოქტომბრისტებმაც დაუთმეს. მოიკრიბეს-რა მხნეობა, როგორც ეს ოქტომბრისტებს კ. დ. წარმომადგენელმა ურჩია, ისინი მესამეთ შეუდგენ მე-6 მუხლის განხილვას. ამ შემთხვევაში ისინი იძულებულნი გახდეს გამოეაშკარავებიათ თავიანთი განზრახვანი. კამათის დროს ახალი არაფერი არ თქმულა. იმეორებდენ ძველ მოსაზრებებს. ოქტომბრისტების წარმომადგენელნი წუწუნობდენ იმის შესახებ, რომ რუსეთში მრეწველობა ცუდ მდგომარეობას განიცდის, რომ წარმოებანი ძალიან მცირე მოგებას იძლევიან, რომელიც ძლივს უდრის 3 პროც. განა შეიძლება ასეთ პირობებში მრეწველებს მუშების საექიმო ხარჯებიც დავაკისროთ? ბარონი ტიზენგაუზენი კი აფრთხილებდა კომისიას არ შეექმნათ მუშებისათვის ისეთი „პრივილეგია", როგორიცაა, მისი სიტყვებით, არც ერთი საზოგადოებრივი კლასი არც ერთ სახელმწიფოში არ სარგებლობს. სოციალდემოკრატების და კადეტების ფრაქციების წარმომადგენელნი აღნიშნავდენ, რომ ოქტომბრისტების შიში უსაფუძვლოა და რომ მათი მოსაზრებანი კრიტიკის უბრალო შეხებასაც ვერ უმაგრდება. რუსეთის მრეწველობა სრულებითიც არ არის ისეთი მცირე შემოსავლიანი, როგორც ამას ბელიაევი ასურათებდა. 1909 წელს იმავ მრეწველების ორგანო — „მრეწველობა და ვაჭრობა„ მოხდენილი ანკეტის თანახმათ რუსეთის მრეწველობის საშუალო მოგებას სთვლიდა 4,45 პროც. უეჭველია, ეს რიცხვი მეტი უნდა ვიგულისხმოთ.

დღემდი მრეწველობა იღებდა მუშების საექიმო ხარჯებს, და 84 პროც. ყველა სამრეწველო მუშებისა ავათმყოფობის დროს საექიმო დახმარებას ღებულობენ წარმოებათა პატრონების ხარჯზე. მაშასადამე, აქ ლაპარაკი იმის შესახებ კი არ არის, რომ მუშებისათვის რაღაც «პრივილეგია" შევქნათ და მრეწველობას ახალი ტვირთი დავაკისროთ, არამედ იმის შესახებ, რომ მუშებს არ წაერთვას ის უფასო საექიმო დახმარება, რომლითაც ისინი დღემდე სარგებლობდენ 1866 წ. კანონის ძალით და მუშათა და მრეწველებს შორის დაწესებულ დამოკიდებულების ძალით. „ჩვენო,—განაცხადა სოციალდემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა,—არ ველით, რასაკვირველია, არავითარ გაუმჯობესების შეტანას მუშათა კანონმდებლობაში მუშათა კომისიის და სახ. დუმის თანამედროვე შედგენილობის მიხედვით, მაგრამ ჩვენ გვეგონა, და უფლებაც გვქონდა გვეფიქრა, რომ კომისია მუშათა არსებულ მდგომარეობას მაინც არ გააუარესებდა; აღმოჩნდა, რომ კომისიის უმრავლესობას არც ამის წინაშე სურს შეჩერება". და ოქტომბრისტები არც შეჩერდენ.

კომისიის წევრის ვოეიკოვის წინადადებით მიღებულ იქნა მეექვსე მუხლის შესწორება, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ე. ი. სიტყვები „წარმოებათა პატრონების ხარჯზე" შეცვლილ იქნა სიტყვებით „საავათმყოფო კასის ხარჯზე." მთავრობის პროექტით საავათმყოფო კასების შემოსავლის სამ მეხუთედს იხდიან მუშები, ხოლო დანარჩენ ორ მეხუთედს მწარმოებლები.

საქარხნო რევიზორის დემენტიევის გამოანგარიშებით მრეწველები ამ ჟამათ მუშების საექიმო [illegible]ების სახით ხარჯავენ ათ მილიონ მანეთამდე წელიწადში.

წარმოვიდგინოთ, რომ მომავალშიაც საავათმყოფო კასებიც ამდენსავე დახარჯავენ ამავე მიზნისათვის. რა შედეგს მოიტანს ვოეიკოვის შესწორება კანონ-პროექტის მეექვსე მუხლისა, თუ მას კანონის ძალა მიეცა? მუშები, რომელნიც ამ ჟამათ საექიმო დახმარებისათვის ხარჯებს არ ეწევიან, მომავალში ვალდებულნი იქნებიან ათი მილიონი მან. სამი მეხუთედი, ე. ი. 6 მილიონი თვითონ იხადონ, ხოლო მწარმოებელნი მუშების საექიმო დახმარებისათვის გაიღებენ დანარჩენ ნაწილს, ე. ი. 4 მილიონს.

ამ უბრალო მოსაზრებიდან აშკარათ სჩანს, თუ რატომ ასე დაჟინებით მოითხოვდენ ოქტომბრისტები და მათი მემარჯვენე მეგობრები კანონ-პროექტის მეექვსე მუხლის შეცვლას. ამ ნაირათ ესმისთ ოქტომბრისტებს მესამე დუმის პირველი სესიის დროს დეპ. როდზიანოს მიერ წარმოთქმული დაპირება: „დაკმაყოფილებულ იქნას მუშების ყველა სამართლიანი მოთხოვნილებანი".

სახელმწიფო დუმის წევრი

ა. პრედკალნი.

*) „Печатное Дѣло" № 18.

შინაურ მტრებთან საბრძოლველათ, სამხედრო წესი კი ომიანობის დროსთვის არის შემოღებული გარეშე მტერთან საბრძოლველათ. გარეშე მტერი ყოველთვის სეზღვარს მოადგება ხოლმე, და აი, სწორეთ აქ არის საჭირო სხვადასხვა ზომების მიღება. თუ ვინმე ამ დროს არა სასურველ პირათ არის შემჩნეული, მას განაპირა ადგილიდან აძევებენ ხოლმე. სად ასახლებენ ამისთანა პირს? შიდა გუბერნიაში, სადაც მტერი არ არის შემოსული და სადაც ის, ეს პირი, სახელმწიფოსათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. სწორეთ ამ აზრით არის „წესში“ შეტანილი ზემოთ-აღნიშნული მუხლი. და როდესაც სამხედრო წესი შინაურ მტერთან საბრძოლველათ შემოიღეს, ამ მუხლმა თავისი აზრი და მნიშვნელობა დაჰკარგა, და რომ ეს ასე არ მომხდარიყო, აიღეს და განმარტეს: კითხვა გადასახლებაშია და არა იმაში, თუ სად გადასახლდებაო. ამ გვარათ სპეციალურ კანონს გაფართოებული განმარტება მისცეს. სენატის პირველი დეპარტამენტი კი ამბობს ამის შესახებ: თუ ამ კანონმა თავისი დანიშნულება გამოიცვალა, მაშინ საჭიროა ამ კანონის კანონიერათ შეცვლა კანონმდებელ დაწესებულებებში გატარებით და დადასტურებით და არა ამც და არამც მისი გაფართოებული განმარტებით გამოყენებაო.

და მართლაც, განა შეიძლება არაჩვეულებრივი კანონის ჩვეულებრივი განმარტება! **იკა.**

---

# ახალი ამბები

✦ **დახმარება.** ქალაქის გამგეობის წევრი ა. არღუთინსკი დეპეშით ატყობინებს ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, რომ ფინანსთა მინისტრმა სახელმწიფო დუმაში წინადადება შეიტანა, ჯარის საბინაო შენობების დასაქირავებლათ თფილისში 70,000 მ. დახმარება მიეცეს ქალაქს.

✦ **საკრედიტო საზოგადოებაში** კვირას, 28 მარტს, შესდგა თფილისის პირველსაურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა კრება შეკრება ათასი წევრი. განიხილეს წასული წლის ანგარიში. წასულ წელს საზოგადოების მოქმედების ანგარიშით ბალანსი გამოიხატება 4,064,718 მ. საანგარიშო წელს საზოგადოების წმინდა მოგება შეადგენს 152,597 კ.; ანგარიში კრებამ დაამტკიცა. მოხდა საზოგადოების მმართველის არჩევნები. უმეტესი ხმით არჩეულ იქნა ისევ ძველი მმართველი პსაროვი. გამგეობის წევრათ არჩეულ იქნა მოლოდ ერთი—მ. აზარიანი.

✦ **სომხ. საზ. „ლუის“.** კვირას, 28 მარტს, შესდგა სომხ. საზოგადოების „ლუისის“ წევრთა კრება; განიხილეს და დაამტკიცეს გასული წლის ანგარიშები. გასული წლის შემოსავალი 1369 მან. უდრის, გასავალი 1327 მ. შემდეგ ამისა დაამტკიცეს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გამოიხატება 1800 მან. არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა. ქ-ნი ს. მალხაზიანი, ა. ტერ-ვარდანიანი, ა. ავაქიანი, კ. გლიჩევი, გ. ხატისოვი, ა. ბასენციანი, ა. ჩემიშკიანი, და მ. გალსტიანი.

✦ **სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელ** საზოგადოების წევრთა კრება შესდგა კვირას, 28 მარტს. განიხილეს და დაამტკიცეს გასული წლის ანგარიშები, დაამტკიცეს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაც. შემდეგ ამისა მოხდა საზოგადოების გამგეობის არჩევა. არჩეულ იქნენ: ნ. ოზეროვი, ა. იაკუბოვიჩი, და ლიოტი. საზოგადოების საპატიო წევრებათ აირჩიეს: ა. ხატისოვი, ნ. გეხმანი და ა. ივანოვი.

✦ **დირექტორი ბატაილი** ამ ჟამათ ბრიუსელში იმყოფება. როგორც ხმა დადის ტრამვაის დირექციის მოსამსახურეთა შორის მალე დიდი ცვლილება მოხდება.

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** „ნოვაია რ.“-ის რედაქტორი რ. ბებიევი გუბერნატორმა 500 მ. დააჯარიმა. თუ ფულს არ გადაიხდის, მაშინ 3 თვით ციხეში სასჯელს მოიხდის.

✦ **ქალაქის სამოსწავლო კომისიას** თავმჯდომარემ ა. ფიშერმა ქალაქის გამგეობას უკვე წარუდგინა დასამტკიცებლათ კომისიის დადგენილება მასწავლებელთათვის ერთი კვირის ჯამაგირის შემცირების შესახებ. როგორც ვიცით, სამოსწავლო კომისიის ამ გვარი დადგენილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ, როგორც სასკოლო კომისია აღნიშნავს, რამდენიმე მასწავლებელმა თავის ნებით დაითხოვა მოსწავლეები დიდმარხვის პირველ კვირაში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საქმის გამოსარკვევათ ამის გამო დაეკითხოს მასწავლებლებს.

✦ **ხაზინის გაძარცვა.** ქალაქ ყიზლიარში საშინელი უბედურება დატრიალდა. 27 მარტს, ღამით გაძარცვეს ადგილობრივი ხაზინა. დახოცეს ხაზინადარი და ხაზინის სხვა მოსამსახურენი. ავაზაკთა ბრბო, როგორც ფიქრობენ, აბრეკები, —საღამოს მალულათ შესულან ხაზინაში, დაუკლავთ დარაჯები, გაუტანიათ დიდძალი ფული და მიმალულან. ფულის რაოდენობა ჯერ არ იციან. (ტ. ლ).

✦ **„ნოვოროსიის რესპუბლიკა“ და დასჯილნი.** „ნოვორ. რესპუბლიკის“ საქმის გამო სამხედრო სასამართლოს განაჩენი კავკ. ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა შესცვალა; ბრალდებულთ—რუბანოვიჩ—ლეიბოვიჩს, ზელენს, ქურგულევიჩს, გოლმანს, ვერესკოვს, მამულიანცს, და ბადიანსკის სიკვდილით სასჯელი კატორგით შეუცვალა: პირველ ორს—15 წლ. კატორგით, ქურგულევიჩს—10 წლით, გოლმანს, ვერესკოვს და მამულიანცს რვა-რვა წლით, ხოლო ბადიანსკის—6 წლით. დანარჩენ ბრალდებულთ: დუბროვინს 15 წლის კატორგა შეუცვალეს 5 წლით, ნინენსკასა და რაჟდენ კალანდაძეს 2 წლის კატორგა თითოს ოთხოთხი წლით. ბრალდებულ გოლიკოვს 6 წლის კატორგა—4 წლით. არკადოვს, ალეშინს, ბელიკოვს, ლებედევს, პერებეინეს და დანჩენკოს 4 წ. კატორგა—2 წლის გამასწორებელ რაზმით. ეპშტეინს —4 წლისა და რვა თვის კატორგა 1 წლის ციხით, გრჩკინსა და ზვორიჩის 10 წ. კატორგა შეუცვლელათ დასტოვა.

✦ **ქუთაისში დაპატიმრეს** და ციხეში გაგზავნეს მოკლულ ალექსანდრე დადეშქელიანის მეუღლე—ბაბილინა, რომელსაც ქმრის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ბრალდება.

✦ **გადასახლებულთა დაბრუნება.** ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულთ, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ, გრ. ქავთარაძეს, კ. კობალაძეს და ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ვლ. ბოჭორიშვილს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ ნება დართო დაბრუნდენ თავიანთ სამშობლოში.

✦ **სასამართლო.** გაზეთი „რეჩი“ სწერს: „გაზეთ „რეჩის“ მე 79 ნომერში დასტამბული იყო წერილი სახელ. დუმის წევრის ა. ი. ნიკოლსკისა ტოლმაჩევის შესახებ. კორესპონდენციაში მოხსენებული იყო, რომ ბოქაული მიქიევი, რომელსაც მექრთამეობა ბრალდებოდა, ერთი საპყრობილედან გადაყვანილ იქნა მეორე ადგილას, საიდანაც მას თავისუფლათ შეეძლო გაქცეულიყო. მიქიევის გადაყვანა გენერალმა ტოლმაჩევმაც იცოდა. როგორც ვიცით, ბოქაული მიქიაშვილი იმ ადგილიდან გაიქცა. ხსენებულ კორესპონდენციაში ცრუ ცნობების გავრცელება დაინახეს და ბეჭდვითი სიტყვის დროებითი საგალდებულო დადგენილების ძალით რედაქტორი ნ. ელკინი და დუმის წევრი ნიკოლსკის პასუხის გებაში მისცეს. ეს საქმე გაირჩევა ამ წლის მაისში—პეტერბურგში. მოწმეებათ მოწვეულნი არიან თვითონ ტოლმაჩევი და მიქიაშვილი. ნ. ელკინს დაიცავს ნაფიცი ვექილი ო. გრუზენბერგი, ნიკოლსკის—ვექილი მ. გოლდშტეინი.

✦ **ქართული თეატრი.** შაბათს, 28 მარტს, ქართულ თეატრში გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია: რელიგია მშვენიერებისა“ (ოსკარ უაილდი). ლექციის რეცენზია დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

✦ **კვირა უქმე დღეებში ვაჭრობა.** თფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა კვირა უქმე დღეებში ვაჭრობა მხოლოდ სასმელ-საჭმლით მოვაჭრე დუქნებში ხდებოდეს. სხვა მაღაზიებში ვაჭრობა აკრძალულია.

✦ **სალდათის შეპყრობა.** 27 მარტს პოლიციამ შეიპყრო ახალქახის მცხოვრები ა. ნ. ჯანანოვი, რომელსაც თან სხვისი პასპორტი აღმოაჩნდა. როგორც პოლიციური ცნობები გადმოგვცემს, ჯანანოვი 1904 წ. სალდათობიდან გამოქცეულა, 1909 წ. ქუთაისში შეუპყრიათ; აბრალებენ ტერ-ოგანეზოვის გაძარცვას. განთავისუფლებულ იქნა თავდებობის ქვეშ და 1907 წლიდან გადასახლებული ყოფილა ვიატკის გუბერნიაში, საიდანაც თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 28 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი თფილისის გუბ. მცხოვრებნი გ. ს. ხელაევი და მ. ე. ბაინდუროვი. ამავე დღეს, ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 25 უპასპორტო.

✦ **სამგლოვიარო წერილი:** ვსტირით უდროოთ დაკარგულს საუკეთესო ამხანაგს ილარიონ წიქარიძეს. ბესარიონ, გიორგი და ნესტორ დოლიძეები.

---

**შეცდომის გასწორება.** «ახ. სხივის» 40 №-ში „წერილი შემახიდან“ შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილია: ბაქოს გუბერნია, უნდა იყოს შემახის გუბერნია. დაბეჭდილია 1846 წ. უნდა იყოს 1859 წელს და სხვა.

---

## დაგვიანებული პასუხი გაზეთ „დროებას“

(წერილი რედ. მიმართ),

«დროების» ნაციონალისტები არა ჩვეულებრივ აუშფოთა ჩემმა წერილმა (იხ. მოწინავე წერილი „დროებისა“ № 29), რომელიც მოთავსებული იყო „თიფ. ფურცელ“-ში, შესახებ ნაციონალური კითხვისა კავკასიაში.

ამ წერილში მე გამოვსთქვი ორი ძირითადი აზრი: 1) ნამდვილი მეგნებული ნაციონალური იდეის მატარებელი არის მშრომელი ნაწილი ერისა. არისტოკრატიას კი ყოველთვის შოვინისტური მიდრეკილება ეტყობა. 2) და რომ კავკასიისათვის მცნება ნაციონალურ ტერიტორიისა ხელ-საყრელი არ არის.

პირველ ჩემს აზრს სავსებით ეთანხმება გაზ. „დროება“; მეორე კი მას ეწვენება შეუწყნარებლათ და აღმაშფოთებლათ. გაზეთს ჰგონია, რომ მე ამ ჩემი აზრის წარმოთქმით დავადასტურე და კეთილსაიმედობის მოწმობა მივეცი მადა გახსნილ სომხის ბურჟუაზიას. ასეთი დასკვნა, რასაკვირველია, მოკლებულია სისწორეს ისე, როგორც ბევრი სხვა დამამტკიცებელი საბუთები „დროებისა“ ჩემს შესახებ. ავიღოთ თუნდა ასეთი რწმუნება: ვითომ მე სასურველათ მიმაჩნდეს შიდა გუბერნიებიდან გლეხების გადმოსახლება საზოგადოთ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. ეს პოლიტიკა გადმოსახლების, ჩემის შეხედულობით, ისეთი შეცდომაა, რომელიც ფეხს ვერ მოიკიდებს ვერასოდეს.

ან არა და ავიღოთ კიდევ მეორე ცილის წამება გაზ. „დროებისა“, ვითომ მე გამომეთქვას აზრი წინააღმდეგი მიწის საკუთრების შეერთებული სახისა. ვინც მე მიცნობს, იმასთან არ ექნება გასავალი „დროების“ ასეთ უხამს რწმუნებას.

ჩემს წერილში მე გამბობდი მიწის კერძო მესაკუთრეობაზე, არა როგორც იდეალზე, არამედ—როგორც უფლებაზე, მის იურიდიულ მხარეზე.

ორიოდე აზრი მე კიდევ გამოვთქვი ჩემს წერილში 1) ქართველი ერი და მისი კულტურა არ დაეცემა პირქვე, არ აღმოიფხვრება მით თუ ქართველი მემამულეები სხვაზე გაჰყიდიან თავიანთ მამულებს და არა თავიანთ მიწის შვილებზე, 2) მე სკეპტიკურათ შევხედე ნაციონალურ ტერიტორიის იდეას. განვიხილოთ ეს უკანასკნელი.

მართლაც და რა ვნებას მოიტანს მიწები რომ გადავიდეს არა ქართველთა ხელში? „დროება“ გვეთანხმება იმაში, რომ ქართველი მემამულეები ვერ აძლევენ თავის ერს ვერაფერს კულტურის მხრივ. მაშ, რა მხრით არის სარგებლობა? უთუოდ „დროების“ შეხედულობა ასეთია, რომ ეკონომიური მხრით მაინც არის სასარგებლო; უკეთ რომ ვთქვათ, რადგანაც მემამულე და გლეხი ერთი ეროვნებისანი არიან. ამიტომ ექსპლოატაციას მათ შორის ნაკლებათ ექნება ადგილი, რომ ეროვნული ერთიანობა შექმნის შედავათიან პირობებს კლასიურ ბრძოლისათვის. ისტორია და თანამედროვე ცხოვრებაც ყველა ხალხოსნობისა ეწინააღმდეგება ამნაირ სანტიმენტალობას ერისას. თავისიანიც ისე ყვლეფს თავისიანს. ეს ასეა ყოველგან, ასე იქნება ჩვენშიაც. რომ ქართველი ერის უმაღლესი ნაწილები ამყარებს თავის არსებობას გლეხთა და დაბალ წოდების ბედნიერებაზე, ამის უტყუარს საბუთს იძლევა თვით საქართველოს ისტორია. ამ აზრის დასაბუთებლათ ჩვენ აუარებელ მასალას გვაძლევს ბ. ნ ყარიბის პატარა წიგნი „Оглянемся назадъ“, რომელშიაც ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ქართველ ერის ამ ორი წოდების ისტორიულ განწყობილებას და უტყუარი საბუთებით ამტკიცებს, რომ ქართველი თ.-აზნაურობა არასოდეს არ იყო მატარებელი იმ ნაციონალური იდეიებისა და იდეიაზებისა, რომელსაც ამ ორ წოდებას აწერდენ ქართველი დღევანდელი ნაციონალისტები იდეური წინაპრები.

ამ წიგნში აღნუსხული ფაქტების აწონდაწონვისა და კრიტიკულათ შესწავლის შემდეგ, არა გგონია, ვინმემ დაიჯეროს „დროების“ ზემო ნათქვამი აზრი.

შემცდარია აგრეთვე ის აზრიც, თუ „დროება“ ფიქრობს, რომ მე ამ შეხედულობით გხედმძღვანელობ მხოლოდ მაშინ, როცა ვლაპარაკობ ქართველ ერზე და მის მემამულეებზე. სრულებითაც არა. ასეთი დამოკიდებულება არსებულა და არსებობს სომეხთა, ოსმალთა და ყველა ეროვნებათა შორის. სომეხთა შორის გაბატონებული კლასია პლუტოკრატია, მარა რა ხეირი აქვს მათგან მშრომელ ხალხს? სარწმუნოთ შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი. რა სარგებლობა მაქვს მე ჟურნალისტს მით, რომ სომეხ მილიონერებს აქვთ მდიდარი ნავთის წყაროები ბაქოში და საუკეთესო სახლები თფილისში? არაფერი. როგორც ვიყავი ღარიბი, ისევ ისე ვრჩები და რა დააკლდება მე, ან მშრომელ ხალხს სომხობისას თუ ეს ნავთის წყაროები, მშვენიერი სახლები და მილიონები გადავა სხვის ხელში? გარწმუნებთ, რომ არაფერი. ვინ დაგვიმტკიცა, ან ვის შეუძლია დაგვიმტკიცოს, რომ იმ წარმოებაზე, სადაც კაპიტალისტი და მუშებიც ერთი ეროვნებისანი არიან, რომ იქ ექსპლოატაციას ნაკლებ ჰქონდეს ადგილი, ვინემ სხვაგან? ამის დამტკიცება შეუძლებელია და ჯერ არც არავის დაუმტკიცებია.

შემიძლია დავამშვიდო და ვანუგეშო „დროება“ მით, რომ მე კაი ხანია შევიგნე იდეური სიდატაკე და მტაცებლობის ინსტინქტები სომხების პლუტოკრატიისა, ეს ჩემი შეხედულება, სხვათა შორის, მე უკვე გამოვთქვი შემდეგ წერილში: „მოქალაქეობა სომხთა შორის“, რომელიც მოთავსებული იყო „ჟიზნ“-ში. ვისაც ეს წერილი წაუკითხავს, მისთვის ცხადია, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ მომხრე ამ მტაცებლობისა.

მაგრამ ამ წოდებასაც ჰყავს თავისი იდეოლოგები სომხთა პრესაში: „მშაკი“, „სურანდაკი“ ისე, როგორც „დროება“ არ ფარავს თავის სიმპატიებს ქართველ მემამულეებისადმი. „მშაკს“ ძალიან უნდა, რომ მიწები და კაპიტალი კავკასიაში სულ სომხების ხელში იყოს და არა გარეშე ტუზების ხელში.

ამ ფსიხოლოგიას, როგორც „დროებისას“, ისე „მშაკისას“ მე ვეძახებ ნაციონალისტურათ. ეს დასკვნა, ისე როგორც ზევით ნათქვამი, გამომდინარეობს ორი ძირითადი ფაქტებისაგან: 1) ნაციონალური ერთობა ვერ აძლევს შედავათს კლასობრივ წინააღმდეგობას; 2) შეცვლა ერთი ეროვნების მემამულის თუ კაპიტალისტის სხვა ეროვნების მემამულეზე თუ კაპიტალისტზე მშრომელი ხალხისთვის სულ ერთია,—საქმის ვითარებას არ ცვლის.

საქმე იმაში კი არ არის თუ მემამულე, ან ბურჟუა, რომელ ეროვნებას ეკუთვნის, რომელიც ასე აინტერესებს „დროებას“ და «მშაკს», არამედ—იმაშია, თუ რა უფლებით და რა ფაქტიური ძალით არის აღჭურვილი მშრომელი ხალხი. თუ რომ მშრომელი ხალხი არ წარმოადგენს საერთო ორგანიზაციას, მოკლებულია ძალასა და შეგნებას, მაშინ ადვილათ ჰქელავს და ავიწროვებს მას როგორც თავისი ეროვნების კაპიტალისტი, ისე სხვისიც; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ის ადვილათ გაუმკლავდება, როგორც თავის კაპიტალისტებისა, ისე სხვისას. აი რაზე უნდა იფიქროს „დროებამ“. საჭირო მიწა ეკუთვნოდეს მას, ვინც არის მისი მუშა, რომ სულ მოისპოს ღალა მიწის ან არა და დაკანონებულ იქნეს შემცირება ღალის. „დროება“ რომ ფიქრობდეს მხოლოდ ამაზე და არ გამოკიდებოდეს ხოლმე იმისთანა უბრალო კითხვას, როგორც, მაგალითათ, ნაციონალური შემადგენლობა მემამულეებისა, «დროების» მუშაობა მაშინ იქნებოდა საცნობი მართლაც სასარგებლოთ.

ეხლა ორიოდე სიტყვა ხულ სხვა კითხვაზე, სახელდობ, ნაციონალურ ტერიტორიაზე. მოძრაობის დროს ქართველმა მარქსისტებმა და ხალხმა პირველ მოთხოვნილებათ წამოაყენეს საერთოთ ყველასათვის სასარგებლო რეფორმები და წინააღუდგენ ნაციონალურ ტერიტორიას რაიცა ჰმოწმობს მათ პოლიტიკურ შორს მჭვრეტელობას, ამისთანა მომენტში წამოყენება პირველათ ნაციონალური კითხვის და აგრეთვე რამე განცალკევება გათიშვის მომასწავებელი მოთხოვნილების— უდრის მთელი მოძრაობის ძირის გამოთხრას და დაღუპვას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ავსტრიის ცხოვრება 48 წ., მაგრამ ამით არ წყდება საკითხი ავტონომიის შესახებ. ყველა პრინციპიალური კამათი შესახებ იმისა, რომ მარქსის მიმდევრებს შესაფერია მხოლოდ ცენტრალისტურ [illegible] ბილებასთან და ვითომ შეუფერებელი ავტონომიასთან, მნიშვნელობას [illegible] ავტონომიის შესახებ [illegible] მნიშვნელობას პოლიტიკაში. თუ არსებობს ერთიანი ტერიტორია, ერთი ელემენტით დასახლებული და მკვიდრი თავის სურვილს გამოსთქვამს რეფერენდუმის სახით ავტონომიის სასარგებლოთ, იმ შემთხვევაში წინააღმდეგობა უადგილოა და არც არავინ ფიქრობს.

**ი. პ.—ნი.**

---

# უკანასკნელი ფოსტა

### ახლო-აღმოსავლეთში.

**აჯანყება ალბანიაში.** ოფიციალური ცნობებით ალბანელების აჯანყება გამოუწვევია ახალი გადასახადების შემოღებას. პრიშტინში „გრადონაჩალნიკს“ აჯანყებულები თავს დაესხენ და მძიმეთ დასჭრეს, ხოლო მისი მხლებელი მოჰკლეს.

პრიშტინში გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა ერთ ხმათ დაადგინა: მცხოვრებლებმა არ გაიღონ ახალი გადასახადები. მთავრობამ აჯანყებულის დასამშვიდებლათ მღვდლები გაგზავნა, მაგრამ ამ ზომამ არ გასჭრა. ალბანელებმა დაიჭირეს გზები იპეკში და გალაპში.

იპეკიდან გაიგზავნა ჯარები, რომელსაც შეტაკება მოუვიდა აჯანყებულებთან. ალბანელებმა ბევრი დაჭრილ-დახოცილი დასტოვეს ბრძოლის ველზე.

— ძველ სერბიაში ალბანელების აჯანყება თანდათან იზრდება. ალბანელები მოითხოვენ მოსპობილ იქნას ძველ სერბიაში სამხედრო ბეგარა. გარდა ამისა, აჯანყებულები მოითხოვენ, გაზ. „რ. ს.“ გადმოცემით, რომ აღდგენილ იქნას ოსმალეთში ძველი რეჟიმი და ძალა-უფლება დაუბრუნდეს აბდულ-ჰამიდს, რომელსაც მოწოდებაში „ალბანელების ქირისუფლათ“ იხსენიებენ.

### რუსეთი

**გაფიცვა.** პეტერბურგის უმაღლეს საპოლიტეხნიკო კურსების მოსწავლე ქალებმა 26 მარტიდან მეცადინეობა შესწყვიტეს. გაფიცვა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

უკანასკნელ ხანებში მოსწავლეებმა არა ერთხელ მიმართეს ქალთა შორის ტეხნიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების საბჭოს და სთხოვეს მოეწვიათ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება კურსების წესდების დასამტკიცებლათ, რადგან უწესდებოთ კურსებს არავითარი უფლებით სარგებლობა არ შეუძლია. მოსწავლე ქალების თხოვნაზე საზოგადოების საბჭომ განაცხადა, რომ უადგილოა ამ ჟამათ ასეთი შუამდგომლობის აღძვრაო.

**დასჯილი მექარხნეები.** მიმდინარე წლის თებერვალში მთავრობამ ვიატკის გუბერნიაში დახურა პეტროვის, ევდოკიმოვის, ბერიოზინის და კალპაკოვის იარაღის ქარხნები. მექარხნეებს ბრალს სდებდენ 3 ხაზიან ვინტოვკების დამზადებაში და გაყიდვაში, რისი უფლება კანონის ძალით მათ არ ქონიათ. მექარხნები დაატუსაღეს და ქარხნები დაბეჭდეს. ულუკმაპუროთ დარჩენილმა მუშებმა, რიცხვით ათასზე მეტმა, დეპეშები გაუგზავნეს სახ. დუმის თავმჯდომარეს და დუმის წევრს ასტრახანცევს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ვიატკის გუბერნატორს კამიშანსკის. მუშები ამტკიცებდენ, რომ დასახელებულ ქარხნებში 3 ხაზიანი ვინტოვკების დამზადება შეუძლებელი არის და შუამდგომლობდენ მექარხნეების განთავისუფლებას.

როგორც „უტ. როს“ გადმოგვცემს, დატუსაღებული მექარხნეები მთავრობას ვიატკის გუბ. საზღვრებიდან გაუძევებია.

**კრიზისი ოქტომბრისტების ფრაქციაში.** მ. როდზიანკო ოქტომბრისტების ბიუროდან გავიდა. როდზიანკო ოქტომბრისტების ფრაქციაში თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის თანამდებობას ასრულებდა. როდზიანკოს ბიუროდან გასვლა გამოიწვევია იმ განხეთქილებას, რომელსაც ოქტ. ფრაქციაში არსებობს ამ ჟამათ.

**დეპუტატების შეტაკება.** სახ. დუმის დეპუტატებს შულგინსა და ჩხეიძევს შეტაკება მოუვიდათ. ეს შეტაკება გა-

მოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩელიშევმა, როგორც ამას წინათ ვსწერდით, გამოაქვეყნა შულიგინის მიერ ნოვგოროდის გუბერნიაში ლუდხანის გახსნა (შულგინი ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვში ითვლება). შულგინმა ჩელიშევს „ცრუ“ უწოდა, მაგრამ როდესაც ჩელიშევმა ნოვგოროდის გუბ. მიღებული წერილი უჩვენა, შულგინმა პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა.

**აფიცრებზე მზრუნველობა.** დუმის მემარჯვენეთა ფრაქციამ „მიხაილ მთავარ ანგელოზის კავშირის“ წარმომადგენელთა თანადასწრებით თათბირი იქონია იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ბანკი დაარსოს, რომელიც მოხუც აფიცრებს დახმარებას გაუწევს. მემარჯვენეთა ფრაქცია ამ საკითხის შესახებ სახ. დუმაში განსაკუთრებულ პროექტს წარადგენს.

**მორიგი კანონ-პროექტი.** სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სახ. დუმის თავმჯდომარეს განცხადება გადასცა, რომელშიაც წინადადებას იძლევა, რადგან ბიუჯეტის განხილვა დასრულდა, პირველ რიგში განიხილონ კანონ-პროექტი სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალური დასვენების შესახებ. ეს კანონ-პროექტი შეტანილია დუმაში ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან 1907 წელს, აპრილში.

**1 მაისის დღესასწაული.** სახ. დუმის 37 წევრმა სახალხო განათლების სამინისტროში საკანონმდებლო წინადადება შეიტანა, რომ რუსეთის ყველა სასწავლებლებში შემოღებულ იქნას პირველი მაისის დღესასწაული.

**გუბერნატორების სიეზდი.** როგორც გაზ. „რ. უ.“ გამოგვცემს, პრემიერ მინისტრს სტოლიპინს გადაუწყვეტია ახლო მომავალში პეტერბურგში მოიწვიოს გუბერნატორების სიეზდი.

**მოგომარეობა ფინლიანდიაში.** საერთო საიმპერიო კანონმდებლობის შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს ფინლიანდიის სეიმში სოც. დემ. ირვე მეხელინმა სთქვა: ჩვენ ამ ჟამათ განვიცდით მძიმე კრიტიკულ მომენტს. სეიმმა თავისი აზრი უნდა გამოსთქვას ქვეყნის ძირითადი კანონების დარღვევის შესახებ. ჩვენი მოვალეობაა ღირსეულათ დავახასიათოთ ეს აქტი. ჩვენ საქვეყნოთ უნდა განვაცხადოთ, რომ ფინლიანდია არასოდეს არ შეურიგდება უფლებების ასეთ შელახვას (მოწონება ყველა სკამებზე). ჩვენ ვიცით, რომ ეს კანონი გამომდინარეობს არა რუსეთის ხალხისაგან, არამედ—რუსეთის ბიუროკრატიისაგან. იმ მომენტში, როდესაც რუსეთის ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა, მან ჩვენც მოგვანიჭა თავისუფლება (მხურვალე ტაშის ცემა ყველა სკამებზე და ხმები: „ბრავო“!) რუსეთის მთავრობა სრულებით არ ფიქრობს იმაზე, თუ რა შემდეგი მოჰყვება მის მიერ არჩეულ პოლიტიკას ფინლიანდიის წინააღმდეგ.

— სეიმის ყველა დეპუტატები დარწმუნებულნი არიან, რომ არც ერთი ფინლიანდიელი არ აირჩევს წარმომადგენლებს სახ. დუმაში და არც ერთი ფინლიანდიელი არ დასთანხმდება მიიღოს რუსეთის პალატის მანდატი.

— „ფრანკფ. ცაიცუნგი“ (გერმ. მაზეთია) აფრთხილებს სახ. დუმის წევრებს არ აჩქარდენ ფინლიანდიის შესახებ პროექტის მიღებაზე.

გაზეთის სიტყვით სახელმწიფო დუმა თავის არსებობასაც ძირს უთხრის, რადგან რეაქციას საშვალებას აძლევს თავის ნებაზე გაუმკლავდეს მას, როდესაც კი მოისურვებს. კანონ-პროექტის სასარგებლოთ ხმის მიცემა—საკუთარი ხელით სამარის გათხრა იქნება.

— გაზ. „ფრემდენბლატი“ მოწინავე წერილში ამბობს, რომ რუსეთი მშვიდობიანი პროვინციის ნაცვლათ სატახტო ქალაქის მახლობლათ შეიძენს მტრულგანწყობილებაში მყოფ ქვეყანას. გაზეთი აფრთხილებს ფინლიანდიელებს მოუფიქრებელი მოქმედებიდან.

**8 საათის სამუშაო დღე.** ივანო-ვოზნესენსკში (მოსკოვის სამრეწ. რაიონი) ერთმა მსხვილმა მანუფაქტურულმა ფირმამ გადასწყვიტა სცადოს 8 საათის სამუშაო დროს შემოღება. უკვე შემოიღეს ხელოსნებისათვის 8 საათის სამუშაო დღე. თუ ცდამ მოლოდინი გაამართლა და სამუშაო საათების შემცირებით დამზადებული საქონლის რაოდენობა არ მოიკლებს, იმ შემთხვევაში მუშებისათვისაც შემოღებულ იქნება 8 საათის სამუშაო დღე.

# პროვინცია

**ბათომი.** 25 მარტს, ქართული სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ, სომეხ-კათოლიკეთა სკოლის დარბაზში გამართულ იქნა სალიტერატურო დილა. ამ დილაზე მოპატიჟებული იყო ყველა პირველ დაწყებითი სკოლები, გარდა რუსულისა. დილა შინაარსიანი იყო და კარგათაც ჩაიარა. პირველათ მოხდენილათ ითამაშეს, ქართული სკოლის მოსწავლეებმა ზებანმა და შავიშვილმა, საყმაწვილო კომედია „ახალი რობინზონი“, შემდეგ ჩვეულებრივ მოხდენილათ და გრძნობით წაიკითხეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა ზოგიერთი რჩეული ლექსები და იგავები. განსაკუთრებით საინტერესო იყო 8 წლის პატარა ქალი გამსახურდია, რომლის ლექსის წაკითხვამ აღტაცებაში მოიყვანა პაწია სტუმრები და სხვა დამსწრე საზოგადოებაც, რისთვისაც ის ყვავილებით და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. დას სრულ მოსწავლეების მიერ შესრულებულ იქნა რამდენიმე სიმღერა. სამწუხაროთ, „ორი მშიერი“, რომელიც ამ დღეს უნდა დაედგათ ალარ მოეწყო. ასეთი დილა მგონია აქ პირველია, და იმედია აქაურნი მასწავლებელნი შემდეგშიაც ეცდებიან გამართონ ასეთი დილა.

— საზოგადოთ მიღებული იყო, რომ ყველა ფქვილის ვაჭარნი ცალ ტომრის დროგზე ან ვაგონზე დაცლის დროს, ან დატვირთვაში შაურს აძლევდენ მუშებს. მარა ახლა ფქვილის ვაჭართა სიმინდის და გურგენიძის გამოკვლევით დიდი უსამართლობა ყოფილა ცალზე შაურის ძლევა, რისთვისაც ამ ორის წინადადებით ყველა ფქვილის ვაჭრებმა ერთმანეთს შორის დასდვეს წერილობითი პირობა, რომ არამც და არამც უსამართლობა არ ჩაიდინონ და ცალზე შაურის მაგიერ 2 ნახევარ. პროც კ. მეტი არ გაიღონ. მუშები ამას არ დაეთანხმენ და მოსთხოვეს ან შაური ან დათვიურათ ოცი მანეთი. ვაჭრები კი თავიანთ კანონიერ დადგენილებას არ არღვევენ და ასე რამდენიმე ათი მუშა სიმშილით წვალობს და ვაჭრები კი მუშების უყოლელობით.

— არა ნაკლები ქკუის გამოდგა აქაური მექარხნე არვანიტიდისი. ის ამდენ ხანს მისი გემის დამტვირთველ მუშებს მუდმივს აძლევდა 1—80 კაპ. დღიურს კი 1—60 კაპ. ახლა მასაც ესუსამართლოთ უცვნია და შესაფერი ქირა დაუნიშნავს მუდმივისათვის 1—20 კაპ. დღიურისათვის კი 1 მ.

— თუ მუდამ ხაზეინები იჩენენ „სამართლიანობას“, ხანდახან ზოგიერთი მუშებიც არ ჩამორჩებათ. მაგალითად ხაჩატუროვის ქარხნის ქესტის განყოფილებაში სწარმოებს ნაჭრობით მუშაობა. ეს ნაჭრობით მუშაობა, რა თქმა უნდა, ხაზეინის კურთხევით, რამდენიმე მუშების ხვედრს შეადგენდა. ისინი ქირაობდენ მუშებს და თვითონვე უსწორდებოდენ „სამართლიანათ“ ჩახევარი ქირით. ამ მუშების მუშებში ამან, თუმცა ძალიან გვიან, უკმაყოფილება გამოიწვია, მარა რას გახდებოდენ გარდა იმისა, რომ ამას იქით ისინი ითვლებიან ხაჩატუროვის მუშათ და არა ხაჩატუროვის მუშის მუშათ. **დოსტი.**

—

**სოფ. ხაშმი.** „რაც მოგივა დავითაო, შენი თავითაო“, სწორეთ ჩვენს სოფლის ბატონ-ბატონებზე ითქმის. ამ ერთი წლის წინათ ჩვენი სოფლის ზოგიერთმა გაყაბატონებმა უურები გამოგვიჭედეს: ძველი მოხელეები არვარგა, სოფელი დაღუპეს და ახლები ავირჩიოთო. გლეხებმა იფიქრეს, რაკი ასე თავგამოდებით ესარჩლებიან სოფელს და მოხელეებს კრიჭაში უდგანან, უეჭველათ ესენი გამოდგებიანო, დაითხოვეს ძველი მოხელეები და ამ ვითომდა სოფლის გულშემატკივართ ჩაუგდეს ხელში მთელი სოფლის ბედიღბალი, მაგრამ თქვენს მტერს, რაც დღე სოფელს დაატყდა. ამ ერთი წლის განმავლობაში ადარავინ დარჩა გაუძარცველი, და ურბეველი, გაუძახავი. თუ რამე შესაჭმელი იყო, გადაულაშეს, ხალხი გაადარიბეს. იქამდის თავს გავიდენ ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი პატარა სოფლის დიდი ბობოლები, რომ „კანონიერის“ გზით დაიწყეს ხალხის ბეგარაზე გაყვანა დიდ ბობოლათა პატივსაცემათ. ბოლოს ხალხმა ვერ აიტანა ეგველიფეეს. მამრიგებელ შუამავლის თანადასწრებით თებერვლის დამლევს როგორც იქნა წესი აუგეს ამ ახალ მოხელეებსაც. მამასახლისის სვიმონ მავკაცაშვილს გაფლანგული აღმოაჩნდა 45 თუმნამდე, ხაზინადარ გიორგი მამულაშვილს 60 თუმანი, მწერალს ესტატე დოდაძეს 40 თუმანი. **კაი ვრახი.**

—

**სოფ. ოფეთი** (მუხურის საზ.). არა ერთხელ აღვვინიშნავს ჩვენს კორესპონდენციებში, თუ როგორ გაჭირვებას განიცდიან სოფელ ოფეთის მცხოვრებნი უგზოობისა გამო, რაიცა ძლიერ ხელს უშლის მათ. მთელი გზა, დაწყებული მუხურის სოფლის კანცელარიიდან სოფ. ოფეთის მცხოვრების ფირან კოკიშვილის ეზომდე, წარმოადგენს ოღრო-ჩოღრო უვარგის გზას, მაგრამ როგორც ზევითაც ვსთქვი, აქამდის არავინ ყურს არ იბერტყავდა ამ გზის გაუმჯობესება-გადაკეთებისათვის და ჩვენი არა ერხელ მოგონება, რომ შეგვეკეთებინათ გზა, რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. იქნება ეს იმის ბრალი იყოს, რომ აქამდე მთავრობის მამასახლისები იყვნენ და მათ არ ეცალათ გზისთვის, რადგან სხვა ბევრი საქმეები ქონდათ: თავიანთი ჯამაგირების ანაზღაურება, „ბოროტ-მოქმედთა“ აღმოჩენა, სახ. ფულის აკრეფა და სხვა. მაგრამ ეხლა ხომ ხალხისაგე ამორჩეული მამასახლისი ირაკლი მეგენეიშვილი გვყავს, რომელიც თვით ოფეთის მცხოვრებია და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ახალი კაცი, როგორც ერთი გულშემატკივართაგანი თავის თანამოძმეებისა, თვითვე ითავებს ოფეთში მიმავალ გზის გაუმჯობესებას და ერთხელ და სამუდამოთ ბოლოს მოუღებს იმ გაჭირვება,-დაბრკოლებას, რომელსაც დღემდე განიცდიდა მთელი საზოგადოება უგზოობის გამო. **სიმონ.**

# მუშათა შორის

**თფილისის მოსამსახურეთა მდგომარეობა.** რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება მოსამსახურეთა მდგომარეობა. 1906 წელში მოპოვებული 8 საათის სამუშაო დღე შესცვალეს 14 საათით, მაგრამ ახლა ესეც არ იკმარეს. ზალოგები ეხლა ისევ შემოიღეს, უზალოგოთ აღარავის დებულობენ. ჩვენს ბატონ ხაზეინებს აღარც ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ჩამორჩებიან. ოდნავ კი გაიგონ ადგილი სადმე ან ნომერში ან ბაღში იაო, მაშინათვე მიიჭრებიან და ზალოგებიც მიაქვთ თან. თუ ვინცობაა ფული ხელათ არ დაურჩათ, ვალებს იღებენ და სარგებელს ერთიორათ აძლევენ, მაგრამ, რაკი დადგებიან და მუცელს გაიძღობენ, მათ ავიწყდებათ თვისი მწარე წარსული და აღარ აგონდებათ თავისივე ამხანაგები თუ რა გაჭირვებას განიცდიან სიმშილისაგან. ლოთობისთვის, კარტ-ნარდის სათამაშოთ კი მუდამ ბლომათ აქვთ ფული. **განო დგალიშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ „საზ.“ სენაკის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ლადე ჩიქვანის ასულს ქ-ნს ნორაკიძის, რომელმაც „განყოფილების“ სენაკის სამკითხველოს შემოსწირა განსვენებული სპირიდონ ნორაკიძისეული რუსული და ქართული წიგნები ღირებული 400 მან.

ქ. შ. წ. კ. გ. საზ. სენაკის განყოფილების გამგეობა.

—

თფილისის წყლის მილის დესიატნიკად ყოფილს ბ. ხარტიშვილს.

მე და თქვენ შორის მომხდარ ინციდენტის გარჩევა შეადგენს ქალაქის გამგეობის სრულს კომპეტენციას, რადგან ინციდენტი სამსახურის ნიადაგზე მოხდა.

შესაძლებელია განაჩენი თქვენ არ გესიამოვნათ, მაგრამ ამის და მიუხედავათ იგი სავალდებულოა როგორც ინჟენერისათვის, აგრეთვე დესიატნიკისათვისაც—და ამ ფარგალში არავითარ გარეშე სამედიატორო სასამართლოს ალაგი არა აქვს.—რაც შეეხება თქვენს ბრალდებებს, რომელთაც თქვენი სიტყვით „საზოგადო ხასიათი აქვთ“, ამ ბრალდებების გასარჩევათ სიამოვნებით გამოგყვებით სამედიატორო სამართალში არა როგორც ხელქვეითს—არამედ—როგორც მოქალაქეს. გაუწყებთ რა ამას, გინიშნავთ სამი დღის ვადას თქვენის მხრივ მედიატორეების დასასახელებლად და ამასთანავე ვსპობ ყოველივე პოლემიკას თქვენთან. **გ. ქურდიანი.**

## ღია წერილი

ახალშენელების წარმომადგენელებს: ბ. ე. ს. თაყიაშვილს, სამსონ პაიჭაძეს და ვარლამ კალანდაძეს.

ლეხაურ-მაკვანეთელებსა და ახალშენელებს შორის ჩოლოქის მამულის გამოყიდვის გამო ატეხილ დავის შესახებ, ყოველივე საკითხის გადასაწყვეტათ, თანახმად თებერვალში ამა წლისა ორივე მხარესაგან დადებულ პირობისა, ლეხაურ მაკვანეთელების მხრივ მედიატორეთ ვასახელებთ თედორე გაბრიელის ძეს კიკვაძეს, რომელმაც მოწინააღმდეგე მხარეს მედიატორესთან, სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. თანახმად დადებული პირობისა, თქვენც დაუყონებლივ უნდა დაასახელოთ თავისი მედიატორე.

ლეხაურ-მაკვანეთელების წარმომადგენელი **ერასტი გორდელაძე.**

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


## განცხადება

1-ლი კავკასიის დეპო თესლეულობისა

**ლარშესი**

არსებობს 1872 წლიდან

№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10

**იყიდება ახალი მოსავლის თესლეულობა**

**გამოცდილი კარგის თვისებისა:** ბოსტნისა, ბალახისა და ყვავილებისა, ხეებისა.

და საუკეთესო საკვები კანარეიკებისათვის არეული გირვანქა ღირს 25 კაპ. (10—8)

**ქუთაისში**

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების **პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი.** მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ. (25—15)

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის „ცინკოგრაფია“**

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** თფილისი, დიდი განქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—21)

**კბილის ექიმი**

**ქაჯაია**

იღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდან საღამო 7 სა-მდე.

მე-2 თუმანოვის ქუჩა, № 17.

**კბილის ექიმი**

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

**კბილის ექიმი**

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15

# ქართველ საზოგადოებას

**ქართული სახალხო და საყმაწვილო** წიგნების გამოცემა თითქმის მთლად მოისპო და შეწყდა ჩვენში, აღარავინ ჰყავს მას მფარველი და პატრონი. დღეს მთელი ჩვენი სამწერლო ძალა ხმარდება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთობას, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ მარტო ეს არა კმარა და იმავ დროს უთუოდ წიგნების გამოცემის საქმესაც უნდა ვათხოვოთ ყური. წიგნი იაფი და მარტივია, შეიცავს ერთი რომელიმე საგნის აღწერას და ამიტომ უფრო ადვილია მისით ხალხში ცოდნის შეტანა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ წიგნის **შეუყენებლათ** გამოცემა თხოულობს დიდ ფულსა და კიდევაც ეს არის უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ ასე მცირედ ყავს მას თავდადებული მოჭირნახულე. იმ დროს, როცა ჟურნალ-გაზეთი შეიცავს წერილებს და ახალ ამბებს სადღეისო ქირავარამზე, რომელთა წაკითხვა და გაცნობა შეადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას ყოველი შეგნებული ადამიანისათვის და ამიტომაც საღდება იგი გამოსვლისთანავე, წიგნის გასყიდვას, პირიქით, საჭიროა ხშირად მთელი ათი და ოცი წლები. მოდი და ემსახურე წიგნის გამოცემის საქმეს ასეთ პირობებში, მეტადრე ისეთ პატარა ერში, როგორიც ქართველობაა!?.

მაგრამ არის ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია ავათ თუ კარგათ ასულდგმულოს წიგნების **შეუყენებლათ** გამოცემის საქმე. ჩვენ მოგახსენებთ **ხელის მოწერაზე.** მდგომარე 1910 წლისათვის ჩვენ გადავსწყვიტეთ გამოვსცეთ პირველი მაისიდან 24 **სახალხო და საყმაწვილო წიგნი,** ე. ი. სამ-სამი წიგნი თვეში და რომ არც მსურველთ გაუჭირდეთ ხელის მოწერა და ჩვენც შეგვეძლოს სულ პატარა რედაქციის მაინც შენახვა, ხელის-მომწერის ფასათ ვნიშნავთ მხოლოდ **ორ მანეთს** გაგზავნით, იმათთვის, ვინც ამ ფულის შემოტანას ერთად მკათათვის პირველამდის და **სამ მანეთს** იმათთვის, ვინც ამ ფულს შემოიტანს ერთათ ანუ თითო მანეთობით ენკენისთვის პირველამდის...

ამ ჟამათ ჩვენ გამზადებული გვაქვს გამოსაცემათ შემდეგი, არა ნაკლებ 16—32 გვერდისა, თხზულებანი: 1) უსაჭიროესი ცნობანი პურის თესვა-მოყვანაზე; 2) იონჯა ბალახის თესვა-მოყვანა და მისით მეწველი საქონლის მომრავლება ოჯახში, როგორც ერთი საუკეთესო საშუალება ჩვენი დაცემული ოჯახის გამოსაბრუნებლათ, 3) ძირითადი საშუალება ჩვენი სასოფლო მეურნეობა-მრეწველობის აღორძინებისა და უმამულო გლეხთა **უფულოთ** მამულით დაკმაყოფილებისა; 4) ვენახისა და ხეხილის ბაღების გაშენება; 5) ვაზისა და ხეხილის ავათმყოფობანი და წამლობა; 6) ღვინის დაყენება-გაუკეთესება, წახდენა და წამლობა; 7) საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა და მოხმარება-შენახვა; 8) რა არის პოლიტიკური ეკონომია? 9) ზნეობა და პოლიტიკური ეკონომია; 10) ქალაქი და სოფელი, 11) სახლების ამშენებელი ამხანაგობანი და მათი მოწყობა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში; 12) აღორძინების ეპოქის გავლენა სწავლა-აღზრდაზე; 13) ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა და სახალხო-საოჯახო ანბანი, შავი, დიდრონი ასოებით დაბეჭდილი; 14) ერთწლიანი კურსები სამშობლო ენისა ანუ რით და როგორ ვასწავლოთ მოზრდილებს წერა-კითხვა სულ იაფათ და ჩქარა; 15) ადამიანის ძვლები, კუნთები, ტვინი და ნერვები; 16) ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა; 17) ორსულობა-მშობიარობა და ბავშვების გამოკვება; 18) გადამდები ავათმყოფობანი; 19) დედამიწის შუა გული და მიწის-ძვრანი; 20) ვარსკვლავთ-მრიცხველობა ანუ ასტრონომია; 21) საქართველოს დედა-ქალაქნი—მცხეთა და თფილისი (სურათებით); 22) სამწუხარო განთიადი (ისტორიული მოთხრობა); 23) გულუბრყვილო გლეხი (სურათებით, პატარებისთვის); 24) ღრუტუნას ნაამბობი (სურათებით, პატარეებისთვის); 25) ვირის თავ-გადასავალი (სურათებით პატარებისთვის); 26) უძველესი მოგზაურნი (სურათებით, მოზრდილთათვის); 27) ამერიკის აღმოჩენა ქრისტიფორე კოლუმბის მიერ (სურათებით, მოზრდილთათვის); 28) ახალი მოგზაურები (სურათებით, მოზრდილთათვის) და სხვ. და სხვ.

რედაქცია იტოვებს უფლებას შენაცვლოს ზოგიერთი აქ მოხსენებული მასალა უფრო უკეთესით. ვსთხოვთ წიგნებით მოვაჭრეებს, მღვდლებს, მასწავლებლებს და საზოგადოთ ყველას, ვისაც სწადიან ხელი გაგვიმართოს დაწყებულ საქმეში, ითავონ ხელის-მომწერლების შოვნა თავიანთ ნაცნობებში და მოკრეფილი ფული. შემომტანთა სახელ-გვარით, ზემოთ გამოცხადებულ ვადაზე მოგვაწოდონ (უამისოთ წიგნები არავის არ გაეგზავნება), მანეთზე ორი შაურის გამორიცხვით სახარჯოთ. საჭიროა აგენტები თფილისში. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ Тифлисъ, Тумановскій переулокъ, № 38, Ивану Павлоовичу РОСТОМАШВИЛИ. (2—1)

**ქ. ბათუმში**

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

**მაღაზია**

**პ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის**

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—11)


სტამბა „შრომა“ რუსის ქუჩა № 3.